განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტის შემუშავების მიზეზია კანონში არსებული ხარვეზების გასწორების აუცილებლობა, ასევე სახელმწიფოს მიდგომის შეცვლა არასრულწლოვნების თამაშში ჩართულობასთან დაკავშირებით, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოთამაშეთა ერთიანი რეესტრის შემოღება და თამაშზე დამოკიდებულ პირთა სიის შექმნა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების ძირითადი მიზანია, სათამაშო ბიზნესის სფეროში არსებული სოციალური ფონის გაუმჯობესება. კერძოდ, 21 წლამდე ასაკის პირთა (18 წლამდე უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის) თამაშში მონაწილეობის აკრძალვა, დამოკიდებულ პირთა სიის შექმნა, სადაც როგორც მოთამაშეს ექნება შესაძლებლობა თავისი განცხადების საფუძველზე მოითხოვის დამოკიდებულ პირთა სიაში მისი მონაცემების შეტანა, ასევე მისი ოჯახის წევრი არის უფლებამოსილი სასამართლოს წესით მოითხოვოს პირის მონაცემების რეესტრში შეტანა. ყველა სათამაშო ბიზნესის დაწესებულებას ექნება ვალდებულება, სათამაშოდ დაშვებამდე პირს მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და გადაამოწმოს ის დამოკიდებულ პირთა სიაში. არასრულწლოვან პირთა თამაშში ჩართულობისგან დასაცავად, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშებში გაუქმდეს ყველა აქამდე რეგისტრირებული მომხმარებლის ანგარიში და სავალდებულო გახდეს მათი ხელახალი რეგისტრაცია, შესაბამისი იდენტიფიკაციის შემდეგ. ასევე, პროექტის მიზანია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება და FATF და MONEYVAL-ის რეკომენდაციების გათვალისწინება, რაც გამოხატულია ნებართვის გაცემამდე ნებართვის მფლობელი ბოლო ბენეფიციარი პირის და მის ხელთ არსებული კაპიტალის გამოკვლევით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის და ტოტალიზატორის განმარტებაში დაზუსტდა, რომ ობიექტი უნდა მოეწყოს შენობა-ნაგებობაში ან შენობა-ნაგებობის ნაწილში, რაც მოიცავს მაგალითად ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამორინე და სათამაშო აპარატების სალონი ეწყობა ერთად, სამორინე და სათამაშო აპარატების სალონი მოეწყოს ერთ სივრცეში, შენობა-ნაგებობის ნაწილში და ამასთან, სათამაშო აპარატები და სამორინეს მაგიდები განთავსდეს ერთმანეთისგან გამიჯნულად.

სამორინეს, აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის და ტოტალიზატორის ტერმინის შეცვლით დაზუსტდა, რომ სამორინეს/აზარტული კლუბის/სათამაშო აპარატების სალონის/ტოტალიზატორის მოწყობა შესაძლებელია შენობა-ნაგებობაში ან შენობა-ნაგებობის ნაწილში.

სამორინეს მაგიდის განმარტებას დაემატა შემდეგი ნაწილი - „სამორინეს მაგიდა, რომელზედაც მიმდინარეობს ერთდროულად ორი ან მეტი თამაში სამორინეს ორ ან მეტ წარმომადგენელსა და მოთამაშეს (მოთამაშეებს) შორის, მიიჩნევა იმდენ სამორინეს მაგიდად, რამდენ სამორინეს წარმომადგენელთანაც მიმდინარეობს თამაშობა.“, რაც მოიცავს, ისეთ შემთხვევას, რომ თუ სამორინეს მაგიდაზე 2 წარმომადგენელს შორის მიმდინარეობს თამაში უნდა გადაიხადოს 2 მაგიდის მოსაკრებელი.

სათამაშო აპარატის განმარტების ცვლილებით სათამაშო აპარატად ითვლება ასევე სათამაშო აპარატების სალონში განთავსებული კომპიუტერი, რომელიც სპეციალური კოდის ან/და დაინსტალირებული პროგრამის საშუალებით ახორციელებს აზარტული თამაშობის ვებ სერვისებთან წვდომას. ასევე, სათამაშო აპარატი, რომელზედაც მიმდინარეობს ერთი ან/და რამდენიმე თამაშობა, რომელზე თამაშიც ერთდროულად შეუძლია რამდენიმე მოთამაშეს და რომელიც შედგება რამდენიმე სათამაშო ადგილისგან, მიიჩნევა იმდენ სათამაშო აპარატად, რამდენი სათამაშო ადგილისგანაც შედგება (გარდა იმ ელექტრონული სათამაშო ბორბლის (რულეტის), რომელზეც მიმდინარეობს ერთი სახეობის თამაშობა). შესაბამისად, ასეთი ტიპის სათამაშო აპარატებზე მოსაკრებლის გადახდა ხორციელდება სათამაშო ადგილების მიხედვით.

ტოტალიზატორის განმარტების ცვლილებით, დაზუსტდა მოგების დათვლის მექანიზმი - „მოგება დამოკიდებულია შედეგზე, ხოლო მისი ოდენობა განისაზღვრება ფსონის მოცულობის ნამრავლით შეჯიბრების, თამაშობის, რაიმე მოვლენის (მოვლენების) კოეფიციენტზე.“

წამახალისებელი გათამაშების განმარტების ცვლილებით დაზუსტდა, რომ წამახალისებელ გათამაშებას წარმოადგენს ისეთი თამაშობები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე.

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ს“ ქვეპუნქტის თანახმად, წამახალისებელი გათამაშების ეტაპი არის პროცესი, რომელიც იწყება ბილეთების დამზადებიდან და რეალიზაციიდან. ამავე მუხლის „ო.დ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, წამახალისებელი გათამაშების ბილეთი გაიცემა უფასოდ. შესაბამისად, მისი რეალიზაცია კანონით დაუშვებელია. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, სწორდება ზემოაღნიშნული უზუსტობა.

მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქციით, სამორინეს სეიფი არის სპეციალური ოთახი, სადაც ინახება სამორინეს სარეზერვო თანხა, მთელი შიდა დოკუმენტაცია და ა.შ. განმარტებაში არ არის მითითებული რა იგულისხმება მთელ შიდა დოკუმენტაციაში. შესაბამისად, კანონის აღნიშნულ ქვეპუნქტში ზუსტდება სამორინეს სეიფის ცნება, გაიწერა, რომ სეიფში უნდა ინახებოდეს ის დოკუმენტაცია, რომელიც უშუალოდ სანებართვო პირობებთან არის დაკავშირებული. ასევე, მიზანშეწონილია, რომ სამორინეს სეიფის განმარტებაში გაიწეროს სეიფი ოთახის მოთხოვნები: მხოლოდ ერთი შესასვლელი კარი, უფანჯრო ოთახი.

კანონის მე-3 მუხლს დაემატა დამოკიდებულ პირთა სიის განმარტება, რომელიც მოიცავს აზარტულ ან მომგებიან თამაშობებზე დამოკიდებულ პირთა მონაცემთა ბაზას. . დამოკიდებულ პირთა სიაში პირის მონაცემების შეტანა ხდება, თავად პირის მიმართვის საფუძველზე, რომელიც შესაბამის განაცხადს წარადგენს შემოსავლების სამსახურში და სასამართლოს ბრძანების საფუძველზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად. თამაშზე დამოკიდებულ პირთა სიას აწარმოებს შემოსავლების სამსახური და სიაში პირის შეტანა ხორციელდება 3 წლის ვადით. ასევე, ნებართვის

მფლობელი ვალდებულია მოთამაშის ობიექტზე დაშვებამდე ან სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშში მონაწილეობამდე, გადაამოწმოს პირი შესაბამის რეესტრში და მისი არსებობის შემთხვევაში არ დაუშვას დამოკიდებული პირის სათამაშოდ დაშვება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონს დაემატა 7[1] მუხლი. ასევე განიმარტა ტერმინი - „თამაშზე დამოკიდებული პირი“. კერძოდ, თამაშზე დამოკიდებული პირი არის ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია დაუძლეველი სურვილი და დამოკიდებულება აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებზე და რომელიც შეტანილია დამოკიდებულ პირთა სიაში მიუხედავად მისი შედეგისა.

კანონის მე-3 მუხლს, ასევე დაემატა ბენეფიციარი მესაკუთრის განმარტება. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით, რომლის თანახმად სახელმწიფომ 2017 წლის ბოლომდე უნდა დაასრულოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე FATF და MONEYVAL-ის რეკომენდაციების შესაბამისად. რეკომენდაციების თანახმად, ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია ნებართვის გაცემამდე გამოიკვლიოს ნებართვის მაძიებელი ბენეფიციარი პირი და მისი კაპიტალი, შესაბამისად, სათამაშო ბიზნესის ყველა ნებართვის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოთხოვნისას, ნებართვის მაძიებელი ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრეების ნასამართლობის შესახებ. ხოლო, ტოტალიზატორის, სამორინეს და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის გაცემისას სანებართვო მოსაკრებლის გადასახდელად საჭირო ფულადი სახსრების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მე-3 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის ამოღებით უქმდება - აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სალარო, რაც განაპირობა ცვლილებამ, რომლის თანახმად, მოგებული თანხის გაცემა ნებართვის მფლობელების მიერ უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ ან/და მომგებიან (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობებში საქართველოს მოქალაქისთვის მონაწილეობის მისაღებად, სავალდებულო ხდება მისი მოთამაშედ რეგისტრაცია მოთამაშეთა ერთიან ელექტრონულ რეესტრში. რეგისტრაციისა და რეესტრის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანთა მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტით.

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, სანებართვო პირობების შესრულებაზე, კონტროლის მიზნით, ნებისმიერ დროს შეამოწმოს ნებართვის მფლობელის მიერ ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა. ასევე, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნებართვის გამცემს სანებართვო პირობების შერულების კონტროლის განხორციელება შეუძლია კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ.“ კანონის მოქმედი რედაქციით, ცალსახად არ იკვეთება, რომ ჩანაწერი „ნებისმიერ დროს“ შემოწმდეს ნიშნავს ნებისმიერი ოდენობით გადასახადის გადამხდელის შემოწმებას. აღნიშნული ჩანაწერი შესაძლებელია, რომ იმგვარადაც იქნეს აღქმული, რომ ნებისმიერი დრო გულისხმობს დღე-ღამის ნებისმიერ დროს - სამუშაო და/ან არასამუშაო საათებს. აქედან გამომდინარე, კანონში ზუსტდება, რომ საგადასახადო ორგანოს შესაძლებლობა აქვს, წლის განმავლობაში რაოდენობრივი შეზღუდვის გარეშე განახორციელოს ამა თუ იმ ობიექტის სანებართვო პირობების შესრულების შემოწმება. აღნიშნულის გათვალისწინებით ცვლილება შედის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში.

კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის დამატებით, შემოღებულ იქნა სანებართვო პირობების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის ვადა, რაც აქამდე არ იყო დადგენილი.

აზარტული და მომგებიანი თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში არ არის დაზუსტებული ორგანიზატორს ერთი ნებართვით რამდენი ვებ-გვერდის ორგანიზება შეუძლია, შესაბამისად ცვლილების თანახმად, ზუსტდება, რომ ერთი ნებართვით დასაშვებია მხოლოდ ერთი ინტერნეტ დომენის სახელის ქვეშ არსებული ვებგვერდის ორგანიზება.

კანონში არ არის დაზუსტებული რეალური ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელს უფლება აქვს თუ არა სისტემურ-ელექტრონული ფორმით განაგრძოს თამაშის ორგანიზება. ცვლილების თანახმად, დადგინდება შეზღუდვა, რომლის თანახმად, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ–ელექტრონული ფორმით ორგანიზება, რეალური ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტისას, შესაძლებელია მიმდინარე კვარტლის განმავლობაში არაუმეტეს 60 კალენდარული დღისა. ყოველ მომდევნო კვარტალში აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ–ელექტრონული ფორმით ორგანიზება შესაძლებელია მხოლოდ რეალური ობიექტის ფუნქციონირების არანაკლებ 30 დღით განახლების შემთხვევაში (მუხლი 11, 2^5).

კანონში ცალსახად არ არის გაწერილი მომგებიანი და აზარტული თამაშობების ნებართვებით ორგანიზებული ობიექტების ერთად მოწყობის აკრძალვა-დაშვების თაობაზე. გახშირდა შემთხვევები, როცა ობიექტები ეწყობა ერთ სივრცეში, გააჩნიათ ერთი სალარო და ა.შ. ან სათამაშო აპარატების სალონს არ გააჩნია სალარო და მოგებას გასცემენ ტოტალიზატორის სალაროში. შესაბამისად განისაზღვრა, რომ სამორინე, სათამაშო აპარატების სალონი, აზარტული კლუბი, ტოტალიზატორი, ლოტო და ბინგო უნდა მოეწყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალკე ობიექტად. (მუხლი 11, 4^1)

აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვა არ გაიცემა საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში. წამახალისებელი გათამაშება, როგორც წესი ეწყობა კონკრეტული სახის პროდუქციის ან/და მომსახურების უკეთ რეალიზების მიზნით. პროდუქციის ან/და მომსახურების უკეთ რეალიზება გადამხდელს დაეხმარება საგადასახადო დავალიანების დაფარვაში. შესაბამისად, ცვლილების თანახმად, წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მაძიებელს ნებართვა მიეცემა საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაშიც. აღნიშნულის გათვალისწინებით ცვლილება შედის კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტში. ამასთან, განისაზღვრება, რომ აზარტული ან მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვა (გარდა წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვისა) არ გაიცემა ასევე იმ შემთხვევაში თუ ნებართვის მაძიებლი შეტანილია მოვალეთა რეესტრში.

მე-11 მუხლის მე-9 - მე-14 პუნქტების დამატება წარმოადგენს ტექნიკურ შესწორებას და ტერმინებიდან შეზღუდვების ცალკე გამოტანას.

მე-12 და მე-13 მუხლების „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში ტოტალიზატორის და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვების მისაღებად წარმოსადგენ სტამბის ხელშეკრულებას, ბილეთების რაოდენობასთან ერთად დაემატა ბილეთების ნუმერაცია, რადგან, ნებართვის მისაღებად წარმოსადგენ რეგლამენტში სავალდებულოა მიეთითოს ბილეთების ნუმერაცია. გამომდინარე იქიდან, რომ ბილეთებს ნუმერაციას ანიჭებს სტამბა, სავალდებულოა, რომ მისივე ხელშეკრულებაში იყოს მითითებული ბილეთების ნუმერაცია.

წარმოდგენილ პროექტში კანონის მე-3 მუხლის „ე“, „ი“, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტები, მე-11 მუხლის 2^3 პუნქტი, მე-12, მე-13, 20^1 მუხლებში განსახორციელებელი ცვლილებები ტექნიკური და რედაქციული ხასიათისაა. ამასთან, მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებლის, ტოტალიზატორის, ლოტოსა და ბინგოს ობიექტების ადგილმდებარეობის შეცვლის შემთხვევაში მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორის და წამახალისებელი გათამაშების ყოველი ახალი ეტაპის მოწყობისთვის

თანხმობის მისაღებად გათამაშების ორგანიზატორის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტებში სავალდებულო ხდება ბილეთების ნუმერაციის მითითება, კონტროლის მიზნით (ხშირ შემთხვევაში ბილეთების დამამზადებელ პირთან დადებულ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული ბილეთების ნუმერაცია). ასევე, კანონში პრეტენზიის განხილვის ვადასთან ერთად დამატებით ეთითება პრეტენზიის განხილვის წესის აუცილებლობის თაობაზე და ამ მიზნით ცვლილებები შედის კანონის მე-12, მე-19, მე-20 და 29-ე („ე“ ქვეპუნქტი) მუხლებში.

მე-12 მუხლს, მე-5 პუნქტის სახით, ასევე დაემატა შეზღუდვა 21 წლამდე საქართველოს მოქალაქის ან 18 წლამდე უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ. სხვადასხვა მუხლებში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, აზარტულ და მომგებიან თამაშობებში აკრძალულია 21 წლამდე საქართველოს მოქალაქის ან 18 წლამდე უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის სათამაშოდ დაშვება.

მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ[1]“ ქვეპუნქტში დაზუსტდა წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის წარმომადგენელზე გაცემის საკითხი, რა დროსაც სავალდებულოა ნებართვის მაძიებლის მიერ პროდუქციის ან მომსახურების მწარმოებლის მიერ ნებართვის მაძიებლისთვის წარმომადგენლობაზე მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

კანონის მოქმედი რედაქციით მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია თამაშობის ზოგად წესში ცვლილების შეტანის შემთხვევაში თანხმობის მისაღებად, ხოლო სხვა ცვლილების შემთხვევაში – ცვლილების განხორციელებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში ინფორმაციის სახით აცნობოს შემოსავლების სამსახურს აღნიშნულის თაობაზე. მიზანშეწონილია არა ცვლილების განხორციელების შემდეგ, არამედ ცვლილების განხორციელებამდე 1 დღით ადრე აცნობოს შემოსავლების სამსახურს, ვინაიდან შემოწმებისას აღმოჩენილი უზუსტობები ნებართვის მფლობელთა მიერ ზუსტდება მომდევნო დღეს და ამით თავიდან ირიდებენ სანქციის დაკისრებას. (მუხლი 13).

ანალოგიური ცვლილება შედის აზარტული თამაშობების მარეგულირებელ ნორმებშიც (მუხლი 21).

კანონის მოქმედი რედაქციით, წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი ვალდებულია, გათამაშების მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაცია 2 დღის ვადაში წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს. აღნიშნულ ჩანაწერში არ კონკრეტდება ინფორმაცია რა მონაცემების შემცველი უნდა იყოს და ხშირად არასრულ და დაუზუსტებელ ინფორმაციას წარადგენენ. პროექტის თანახმად, განისაზღვრება რა ფორმით და რა რეკვიზიტების ოქმი უნდა წარადგინონ გათამაშების ორგანიზატორებმა. (მუხლი 16).

მე-16 მუხლის 2[1] პუნქტში განხორციელებული ცვლილება, რომელიც გულისხმობს წამახალისებელი გათამაშების ოქმში, 20 ლარამდე ღირებულების მქონე პრიზების მფლობელების პირადი მონაცემების მიუთითებლობას, გამოიწვია არსებულმა პრაქტიკამ. ხშირია, შემთხვევა, როდესაც წამახალისებელი გათამაშების პრიზად დაწესებული მაგალითად - 1 ნაყინი, რომლის ღირებულება არ აღემატება 1 ლარს და მისი რაოდენობა შეიძლება 100 000 იყოს, შესაბამისად, ასეთი პრიზების აღრიცხვა მოგებული პირის პირადი მონაცემებით ფიზიკურად შეუძლებელია. აღნიშნული ცვლილება, წინააღმდეგომაში არ მოდის არც საგადასახადო აღრიცხვასთან და არც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებთან.

კანონის მე-19 და მე-20 მუხლებში, გარდა ზემოაღნიშნულისა, სწორდება ტექნიკური ხასიათის შეცდომა. მუხლები აზარტული თამაშობების მარეგულირებელია და ტექსტში ნაცვლად აზარტული თამაშობისა, ნახსენებია „მომგებიანი თამაშობა“. მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში არსებული ინფორმაცია ერთ პუნქტში იყო თავმოყრილი, გასწორდა ტექნიკურად და ჩაიშალა „ბ.ა“-„ბ.ზ“ ქვეპუნქტებში.

20^1 მუხლის მე-2 და 2^1 პუნქტებში დაემატა მოთხოვნა, რომლის თანხმად, აზარტული ტურნირის ორგანიზატორმა ტურნირის წესებში უნდა მიუთითოს ტურნირში მონაწილეობის საფასურის ოდენობა, აღნიშნული ცვლილება განზორციელდა ადმინისტრირების მიზნებისთვის, რაც შემოსავლების მისცემს შესაძლებლობას განსაზღვროს ორგანიზატორის მიერ ტურნირიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა. ასევე, ტურნირის ორგანიზატორი ვალდებულია ტურნირის ჩატარების წესები შემოსავლების სამსახურთან შეათანხმოს სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზების შემთხვევაშიც. არსებული პრაქტიკიდან, ტურნირების დიდი წილი ეწყობა სისტემურ-ელექტრონული ფორმით, რის შესახებას შემოსავლების სამსახურს ინფორმაცია არ გააჩნია.

კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქციით, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი ვალდებულია აწარმოოს გაცემულ მოგებათა რეგისტრაცია, შექმნას ელექტრონული ბაზა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“ დღეის მდგომარეობით, ორგანიზატორს ვალდებულება აქვს, აწარმოოს მხოლოდ გაცემულ მოგებათა რეგისტრაცია. პრაქტიკაში, ერთი მოთამაშე რომელიც ჯდება კონკრეტულ აპარატთან, დებს გარკვეულ თანხას და იწყებს თამაშს, შეიძლება მოიგოს თანხის ნაწილი, შემდეგ ისევ წააგოს და გამოიტანოს იგივე რაოდენობის თანხა, რითაც დაიწყო თამაში და გადაჯდეს სხვა აპარატთან. ამ შემთხვევაში, გაუგებარია რა თანხა უნდა აღირიცხოს, დღის დასაწყისში შესული თანხა და სალონიდან გასვლისას მიღებული თანხა თუ თითოეული დადებული ფსონის დროს თანხების თანაფარდობა. სამორინეს შემთხვევაში, სიტუაცია უფრო რთულდება, ვინაიდან სალაროში თავდაპირველად გადახურდავებული ჟეტონებით მოთამაშე ერთ მაგისათან იწყებს თამაშს, იგებს/აგებს რამდენიმე მაგიდასთან. ამ შემთხვევაში, მოთამაშის მოგებად ითვლება ერთი კონკრეტული თამაშის დროს მიღებული მოგება, თუ დღის ბოლოს ჟეტონების გადაცვლით აღებული თანხა. დღეის მდგომარეობით, „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი (ორგანიზატორი) პირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების და „სამორინეების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2004 წლის 28 ივლისის N94 ბრძანების თანახმად, სათამაშო ბიზნესის დაწესებულებები ვალდებულები არიან წარადგინონ ინფორმაცია მაშინ, როდესაც გარიგება შეადგენს 3 000 ლარს ან გარიგებათა ერთობლიობა აღემატება 30 000 ლარს. (გარიგებაში იგულისმება, როგორც მოთამაშის მიერ დადებული ფსონი, ასევე, მიღებული მოგება), თუმცა არაფერია ნათქვამი გარიგებათა ერთობლიობის ვადებზე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ ნებართვის მფლობელის მიერ აღირიცხოს ნებისმიერი თანხის მოგება თუნდაც გარიგებათა ერთობლიობის დადგენის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ ორგანიზატორის ვალდებულება განიმარტოს უფრო კონკრეტულად, შესაბამისად დგინდება, რომ ორგანიზატორს მოგებათა აღრიცხვა ევალება იმ შემთხვევაში თუ მოგება შეადგენს ან აღემატება 100 ლარს.

29-ე მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმდ, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში, მოგებული თანხის გაცემა ნებართვის მფლობელების მიერ უნდა განხორციელდეს მხოლოდ მოთამაშის პერსონალურ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით, რაც ავტომატურად აუქმებს აზარტული ან/და მომგებიანი

თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებულ, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სალაროს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ხარჯებთან და, შესაბამისად - დაფინანსების წყაროსთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

აღნიშნული კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, თუმცა, მისი ზუსტი გაანგარიშება, ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები: კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშვება სახელწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპრექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს იმ პირებზე, რომელთა მიმართ გავრცელდება პროექტით წარმოდგენილი ნორმები, თუმცა საფინანსო შედეგების გაანგარიშება მოცემულ ეტაპზე არ არის შესაძლებელი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვის პრინციპი:

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპის ცვლილება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების)

ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.